



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

აგვისტო 2017


შინაარსი

მთლიანი შიდა პროდუქტი	3
ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში	3
ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა	5
ფასების დონე.....	6
კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში.....	8
საგარეო ვაჭრობა	9
ტურიზმი	13
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	13
ფულადი გზავნილები.....	15
მიმდინარე ანგარიშის ბალანსი.....	16
საკრედიტო რეიტინგები.....	17
გაცვლითი კურსი	18
უმუშევრობის დონე.....	19
ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები.....	20
სახელმწიფო ვალი.....	21
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი	21
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი.....	21
2016 წლის ბიუჯეტის შესრულება	25
2017 წლის ბიუჯეტის აღწერა.....	26

მთლიანი შიდა პროდუქტი


რეგიონში განვითარებული ეკონომიკური შოკების და გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელების ფონზე, 2015 წელს საქართველოში 2.9 პროცენტის ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა.

წინასწარი მონაცემებით, 2016 წლის რეალური ზრდა 2.7 პროცენტს შეადგენს, 2017 წლის I კვარტალში რეალურმა ზრდამ 5.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო II კვარტალში 4.0 პროცენტი.



ეკონომიკური ზრდა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

2016 წლის ბოლოს ეკონომიკური აქტივობა შემცირდა რეგიონში, რის გამოც ეკონომიკური ზრდის შეფასებები შემცირდა ყველა ქვეყნისათვის. როგორც აღინიშნა, წინასწარი მონაცემებით, 2016 წელს საქართველოს ეკონომიკა 2.7 პროცენტით გაიზარდა და იგი ამ მაჩვენებლით ერთ-ერთი ლიდერია რეგიონში.




წინასწარი შეფასებით, 2017 წლის იანვარში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური წლიური ზრდა 5.2 პროცენტს შეადგენდა, თებერვალში ზრდა იყო 4.4 პროცენტი, მარტში - 5.3 პროცენტი, აპრილში - 2.1 პროცენტი, მაისში - 5.3 პროცენტი, ივნისში - 4.6%, ხოლო ივლისში - 3.8%. პირველი შვიდი თვის ჯამში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ეკონომიკა 4.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მეორე კვარტლის ზრდამ 4.0 პროცენტი შეადგინა.

2017 წლის პირველი კვარტლისთვის, მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: მშენებლობა (ზრდა 21.6, წვლილი მთლიან ზრდაში 1.5%); დამამუშავებელი მრეწველობა (ზრდა 8.0, წვლილი 0.9); ტრანსპორტი (ზრდა 5.2, წვლილი 0.5%; კავშირგაბმულობა (ზრდა 11.5, წვლილი 0.5%); კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა (ზრდა 7.9, წვლილი 0.4%); სასტუმროები და რესტორნები (ზრდა 8.7, წვლილი 0.3%); საფინანსო საქმიანობა (ზრდა 6.8, წვლილი 0.3%); ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (ზრდა 5.6, წვლილი 0.3%).

2017 წლის ივლისისთვის, მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სექტორებში: მშენებლობა (ზრდა 11.7%, წვლილი 1.1), სასტუმროები და რესტორნები (ზრდა 16.4%, წვლილი 0.4 პ.პ.), ვაჭრობა (ზრდა 4.8%, წვლილი 0.3 პ.პ.), დამამუშავებელი მრეწველობა (ზრდა 1.6%, წვლილი 0.2 პ.პ.), საფინანსო საქმიანობა (ზრდა 11.7%, წვლილი 0.2%), ტრანსპორტი (ზრდა 1.8%, წვლილი 0.1 პ.პ.), კავშირგაბმულობა (ზრდა 3.9%, წვლილი 0.1 პ.პ.).


ეკონომიკური ზრდა (%)



ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა


2016 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 2.7 პროცენტი შეადგინა, რაშიც ძირითადი წვლილი (3.5%) ინვესტიციებმა შეიტანა. ზრდაზე ასევე დადებითად იმოქმედა მოხმარების ზრდამ, თუმცა მისმა წვლილმა 1.1% შეადგინა. წინა წელთან შედარებით, რეალური მოხმარება 2016 წელს მხოლოდ 1.2 პროცენტით გაიზარდა, რაც მაღალი დოლარიზაციის ფონზე დოლარის გამყარების შედაგად სესხის მომსახურების გართულებით იყო გამოწვეული. ეკონომიკურ ზრდაზე ნეგატიურად (-0.9%) იმოქმედა წმინდა ექსპორტმა, რაც საგარეო მოთხოვნის შოკით აიხსნება.

ეკონომიკის გამოჯანსაღება შეინიშნება 2017 წლიდან. ჩაქრა შოკები პარტნიორ ქვეყნებში, რის შედაგადაც გაიზარდა როგორც ექსპორტი, ასევე ფულადი გზავნილები, დასტაბილურდა როგორც ნომინალური ეფექტური, ასევე ლარი-აშშ დოლარის გაცვლითი კურსი, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოლოდინები, რაც დადებითად აისახა ექსპორტზე, მოხმარებისა და მთლიანად ეკონომიკურ ზრდაზე. ჯამში, პირველ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 5.1 პროცენტი შეადგინა, რაშიც მოხმარებამ 4.6 პროცენტის წვლილი შეიტანა, ინვესტიციებმა 3.6, წმინდა ექსპორტმა 0.4, ხოლო მარაგების ცვლილებამ -3.4. მეორე კვარტალში კი 4.0%-იანი ზრდა დაფიქსირდა.



მთლიანი ინვესტიციების ძირითადი ნაწილი კერძო ინვესტიციებზე მოდის.

სახელმწიფო და კერძო ინვესტიციები




ფასების დონე

საქართველოს ეროვნული ბანკი მისდევს ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს. 2016 წლისათვის ეროვნული ბანკის მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი შეადგენდა 5 პროცენტს. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის ბოლოსათვის წლიურმა ინფლაციამ 4.9 პროცენტი შეადგინა, 2016 წელს ინფლაცია კლების ტენდენციით ხასიათდებოდა და

აგვისტოს თვიდან ინფლაციის მაჩვენებელი 1 პროცენტზე დაბალ ნიშნულზე შენარჩუნდა. დეკემბერში ინფლაციის ტემპმა შედარებით მოიმატა და 1.8 პროცენტს გაუტოლდა. შედეგად, 2016 წელს საშუალო წლიური ინფლაცია მნიშვნელოვნად ჩამორჩა მიზნობრივ მაჩვენებელს და შეადგინა 2.1 პროცენტი, რასაც განაპირობებდა ინფლაციის შემცირებული მოლოდინები და შემცირებული იმპორტირებული ინფლაცია: ფასების მკვეთრი შემცირება საწვავისა და სურსათის საერთაშორისო ბაზრებზე. საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 1.8 პროცენტს.

2017 წლის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 4 პროცენტს შეადგენს. აგვისტოში, სამომხმარებლო ფასების ინდექსი საქართველოში 5.7 პროცენტით გაიზარდა. საბაზო ინფლაცია შესაბამის პერიოდში შეადგენდა 4.3 პროცენტს. რაც შეეხება საშუალო წლიურ ინფლაციის დონეს, იგი 4.0 პროცენტის ნიშნულზეა.




წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე¹:

- სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 6.2 პროცენტით, რაც 1.88 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბალახეული (18.4 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (11.9 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (7.4 პროცენტი), თევზეული (6.8 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (6.1 პროცენტი);

¹ წყარო: საქსტატი

- ტრანსპორტი: ფასები მომატებულია 11.6 პროცენტით, რამაც წლიურ ინფლაციაში 1.46 პროცენტული პუნქტი შეიტანა. ფასები მომატებულია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (16.2 პროცენტი);
- ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 17.5 პროცენტით, რაც 1.14 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ჯგუფში ფასების მატება დაფიქსირდა თამბაქოს ნაწარმზე (37.3 პროცენტი);
- ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 7.8 პროცენტით, რაც 0.69 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში. ჯგუფში ფასებმა მოიმატა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურის და მოწყობილობების ქვეჯგუფზე (20.9 პროცენტი).

ინფლაცია ძირითადად განპირობებულია ერთჯერადი ფაქტორებით.



კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში


2015 წელს ეკონომიკურ ზრდაში წარმართველი როლი ეჭირა კერძო სექტორს. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 2016 წელსაც. ბიზნეს სექტორში შექმნილი რეალური დამატებული ღირებულება 2015 წელს წინა წელთან შედარებით ცხრა პროცენტით გაიზარდა.

2016 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვა, წინა წელთან შედარებით, 13.3 პროცენტით არის გაზრდილი. საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 14.6 პროცენტით

აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2017 წლის პირველ კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19.1%-ით გაიზარდა, ხოლო მეორე კვარტალში - 16.9%-ით. ზრდის ტენდენციით ხასიათდება პროდუქციის გამოშვებაც და 18.9%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის პერიოდს.

2016 წელს ბიზნეს სექტორში 36.3 ათასი ადამიანით მეტი დასაქმდა, ვიდრე ეს იყო გასულ წელს. სულ დასაქმებულთა რაოდენობამ 621 ათასი შეადგინა. 2017 წლის პირველ კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობამ 605.0 ათასი კაცი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 4.7%-ით აღემატება, ხოლო მეორე კვარტალში 30.3 ათასი კაცით (5%-ით) მეტი დასაქმდა და სულ დასაქმებულთა რაოდენობამ 631.3 ათასი შეადგინა.

ბიზნეს სექტორი, 2017 წელი II კვარტალი




საგარეო ვაჭრობა

2014 წლის აგვისტოდან დაიწყო ექსპორტის კლება. შემობრუნების ტენდენცია, შეინიშნება 2015 წლის მესამე კვარტლიდან, როდესაც ექსპორტის შემცირებაში ფასისმიერი ეფექტი დომინირებდა და რეალურ გამოხატულებაში ექსპორტმა კლება შეწყვიტა.

რეალურ გამოხატულებაში 2016 წლის მანძილზე ექსპორტი ზრდადი ტემპებით იმატებდა. პირველ კვარტალში რეალურმა ექსპორტმა თითქმის 7 პროცენტით მოიმატა, მეოთხე კვარტალში კი რეალური ზრდა უკვე 10.5 პროცენტს შეადგენდა. ჯამში ორწლიანი კლების შემდეგ, 2016 წელს რეალური ექსპორტი 7.8 პროცენტით გაიზარდა. სექტემბრიდან ზრდა უკვე მიღებულ შემოსავლებზეც აისახა, როდესაც ექსპორტი ნომინალურ გამოხატულებაში 8.3 პროცენტის ოდენობით გაიზარდა. ოქტომბერში ნომინალური მოცულობის ექსპორტი მცირედით, 0.8 პროცენტით გაიზარდა. მაღალი, 16.8 პროცენტის ზრდა დაფიქსირდა ნოემბერში, ხოლო დეკემბერში ექსპორტი ნომინალურად წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 5.1 პროცენტით გაიზარდა. წლის განმავლობაში, ექსპორტი წლიურად 4.1 პროცენტით შემცირდა.

2017 წლის იანვარში ექსპორტის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა და 44.7 პროცენტი შეადგინა, თებერვალში ზრდა 13.0 პროცენტი იყო, მარტში 36.4 პროცენტი, აპრილში 28.0, მაისში 25.0 პროცენტი, ივნისში - 37.4, ხოლო ივლისში - 22.4. ჯამურად, 2017 წლის იანვარ-ივლისში ექსპორტის ზრდამ ნომინალურ გამოხატულებაში 28.9 პროცენტი შეადგინა. მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ფეროშენადნობების (წვლილი ზრდაში 7.4 პროცენტული პუნქტი), სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (წვლილი ზრდაში 6.5 პროცენტული პუნქტი), ყურძნის ნატურალური ღვინოების (წვლილი ზრდაში 2.5 პროცენტული პუნქტი) და მედიკამენტების ექსპორტში (წვლილი ზრდაში 2.2 პროცენტული პუნქტი), ნავთობი და ნავთობპროდუქტები (წვლილი ზრდაში 1.4 პროცენტული პუნქტი). პირველი შვიდი თვის მონაცემებით, საქონლის ექსპორტი 28.9 პროცენტითაა გაზრდილი. ზრდა მნიშვნელოვნად განპირობებულია ექსპორტის რეალური ზრდით.


ექსპორტის ცვლილება



2015 წლის მეორე კვარტლიდან გაცვლითი კურსის გაუფასურების ფონზე დაიწყო იმპორტის კორექტირება და იმპორტის შემცირების ტენდენცია 2016 წლის მაისამდე გაგრძელდა. მაისიდან საინვესტიციო საქონლის იმპორტის მნიშვნელოვანმა ზრდამ, რაც ძირითადად მანქანა-დანადგარების (მათ შორის: გენერატორების, სამედიცინო აპარატურის, გამომთვლელი მანქანების, სამრეწველო დანადგარების და ა.შ) იმპორტის ზრდით იყო გამოწვეული, მთლიანი იმპორტის ზრდა განაპირობა. ასევე, პერიოდულად მაღალი იყო შუალედური საქონლის იმპორტის (მათ შორის მანქანა დანადგარების ნაწილების და საწვავი და საცხები მასალების) ზრდა. ბოლო სამი თვის განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ზრდამ, რაც ნავთობპროდუქტების იმპორტს უკავშირდება. ჯამურად, წლის განმავლობაში დადებითი წვლილი მხოლოდ საინვესტიციო საქონლის იმპორტის შემთხვევაში ფიქსირდება.


ჯამურად, იმპორტში 8.5 პროცენტის ზრდა დაფიქსირდა 2017 წლის იანვარ-ივლისში. მაღალი ზრდა დაფიქსირდა სამომხმარებლო საქონლის იმპორტში, რაც უმთავრესად ნავთობპროდუქტების იმპორტის მატებით არის განპირობებული. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა ასევე შუალედური საქონლის იმპორტი, ხოლო საინვესტიციო საქონელი შემცირებულია.

იმპორტის ცვლილება



2016 წელს, წინა წელთან შედარებით ექსპორტი 4.1 პროცენტით შემცირდა და 2,114 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 1,658 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1.0 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. 2016 წელს 0.7 პროცენტით შემცირდა იმპორტი და 7,234 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ჯამში სავაჭრო ბალანსი გაუარესდა 43 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.


საგარეო ვაჭრობა (მლნ აშშ დოლარი)



2017 წლის შვიდ თვეში ექსპორტი 28.9 პროცენტით გაიზარდა, რაც ნომინალურად 325 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ამავე პერიოდში იმპორტის ზრდა 8.5 პროცენტი, ანუ 330 მლნ აშშ დოლარი იყო. შედეგად, სავაჭრო ბალანსი დაახლოებით 5 მლნ აშშ დოლარით გაუარესდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

საგარეო ვაჭრობა (მლნ აშშ დოლარი)

იანვარ-ივლისი




ტურიზმი

2016 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლები 11.9 პროცენტით გაიზარდა და მიმდინარე წელს დაახლოებით 230 მილიონი აშშ დოლარით მეტი სავალუტო შემოდინება დააგენერირა წინა წელთან შედარებით.

2016 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა პირველად გადააჭარბა 2 მლრდ აშშ დოლარს და ბოლო 5 წლის განმავლობაში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა.

2017 წლის პირველ შვიდ თვეში, საქართველოს 3 979 ათასი ვიზიტორი ეწვია, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს 16.8 პროცენტით აღემატება.

იანვარ-ივლისში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 1 648 მლნ ლარი შედგინა, რაც 28.4 პროცენტით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.




პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაჯანსაღება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წელს წინასწარი მონაცემებით 1 645.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 5.2 პროცენტით მეტია 2015 წლის მონაცემთან შედარებით.

წინასწარი მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2017 წლის I კვარტალში 403.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2016 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 3.7 პროცენტით მეტია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის რეალური მაჩვენებელი კიდევ უფრო შთამბეჭდავია. ბოლო პერიოდში ძლიერი დოლარის ფაქტორის გათვალისწინებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დოლარში აღრიცხვა მის რეალური ზრდის ტემპებს არასაკმარისად ასახავს. რეალური დინამიკის უფრო ზუსტად ასახვისათვის მნიშვნელოვანია შევხედოთ დოლარის ინდექსით შესწორებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელს. აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით 2016 წელს ზრდა წინა წელთან შედარებით 9.2 პროცენტს შეადგენს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



2016 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი - 39.2 პროცენტი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა, 12.3 პროცენტი - ენერჯეტიკის სექტორში, ხოლო 9.9 პროცენტი - მშენებლობაში. საფინანსო სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა - 8.3 პროცენტი, დამამუშავებელ მრეწველობაში - 7.3 პროცენტი, სასტუმროებსა და რესტორნებში - 6.7 პროცენტი, ხოლო უძრავ ქონებაში - 4.2 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება 2017 წელს, წინასწარი მონაცემებით I კვარტალში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი - 35 პროცენტი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა, უძრავ ქონებაში - 19.9 პროცენტი, საფინანსო სექტორში - 19.7 პროცენტი, მშენებლობაში - 13.8 პროცენტი, სასტუმროებსა და რესტორნებში - 3.9 პროცენტი, სამთომოპოვებით მრეწველობაში - 2.1 პროცენტი, ხოლო ენერჯეტიკაში - 1.7 პროცენტი.

2017 წლის I კვარტალში OECD-ს ქვეყნებიდან განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 41.9 პროცენტი შეადგინა.

აღსანიშნავია FDI-ს დივერსიფიკაციის ზრდა ახალ სექტორებში ინვესტირებით. მაგალითად, 2015 წელს დაფიქსირდა ჯანმრთელობის დაცვაში განხორციელებული ინვესტიციების მკვეთრი ზრდა წინა წლებთან შედარებით. 2016 წელს კი 2015 წელთან შედარებით გაზრდილია ინვესტიცია ენერჯეტიკის სექტორში. ენერჯეტიკაში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 12.3 პროცენტი შეადგინა.

2016 წელს ჯამურად OECD-ს ქვეყნებიდან განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 46.5 პროცენტი შეადგინა.

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების სამეულში კი პირველ ადგილზე აზერბაიჯანია 35.2 პროცენტით, მეორე ადგილზე - თურქეთი 16.6 პროცენტით, ხოლო მესამე ადგილზე - გაერთიანებული სამეფო 7.3 პროცენტით.


მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელს რეინვესტირებაში დაფიქსირდა უმაღლესი მაჩვენებელი და შეადგინა FDI-ის 32 პროცენტი, რაც აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და გაუმჯობესებული ბიზნეს გარემო დადებითად აღიქმება ინვესტორების მიერ და მეტი ინვესტორი აგრძელებს ბიზნეს გეგმებს საქართველოში. მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმები რეინვესტორების მაღალი დონის შენარჩუნებისა და საშუალო და გრძელვადიანი პერიოდის ზრდის წინაპირობაა.

ფულადი გზავნილები

2016 წლის მეორე ნახევრიდან ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ პირველ 5 თვეში ფულადი გზავნილები კლების ტენდენციით ხასიათდებოდა წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით. 2016 წლის ივლისში ფულადი გზავნილები გაიზარდა 8 პროცენტით, წლის მაქსიმალური ზრდა დაფიქსირდა აგვისტოში - 23.0 პროცენტი, ნოემბერში ეს მაჩვენებელი იყო 14.6 პროცენტი, ხოლო დეკემბერში ფულადი გზავნილები 19.7 პროცენტით გაიზარდა. ჯამურად, 2016 წელს წმინდა ფულადი გზავნილების წინა წელთან შედარებით 5.3 პროცენტით გაიზარდა.

2017 წლის იანვარში წმინდა ფულადი გზავნილების ზრდა იყო 29.1 პროცენტი, თებერვალში ზრდამ 23.9 პროცენტი შეადგინა, მარტში - 28.4 პროცენტი, აპრილში - 15.1 პროცენტი, მაისში - 26.1 პროცენტი, ივნისში - 18.6 პროცენტი, ხოლო ივლისში - 23.7 პროცენტი. 2017 წლის იანვარ-ივლისში ფულადი გზავნილები 23.2 პროცენტით მეტი იყო წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით.

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ცვლილება




იანვარ-ივლისში უცხოური ვალუტის შემოდინება გზავნილების სახით გაიზარდა 120 მილიონი აშშ დოლარით 2016 წლის იგივე პერიოდთან შედარებით.

საერთო ჯამში, 2017 წლის პირველ შვიდ თვეში, საქონლის ექსპორტის, ტურიზმისა და გზავნილების გზით უცხოური ვალუტის შემოდინება გაიზარდა 770 მილიონი აშშ დოლარით. ამავე პერიოდში 329.8 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა იმპორტისთვის თანხების გადინება. შედეგად, 2017 წლის პირველ შვიდ თვეში მიმდინარე ანგარიშზე დადებითი გავლენა შეინიშნა.

მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი საქართველოს ეკონომიკის მოწყვლადობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს.

2014 წელს მ/ა დეფიციტმა მშპ-ის 10.7 პროცენტი და 1,769 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2015 წელს მ/ა დეფიციტი შემცირდა ნომინალურ გამოხატულებაში, თუმცა გაიზარდა მისი მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი მნიშვნელის ეფექტის გამო, აშშ დოლარში გამოსახული მშპ-ის შემცირების შედეგად. 2015 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ის 12.0 პროცენტი შეადგინა, 2016 წელს გაიზარდა აშშ დოლარში გამოსახული მშპ, თუმცა ასევე გაიზარდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ნომინალურ გამოხატულებაში, რის შედეგადაც 2016 წლის დეფიციტმა შეადგინა მშპ-ს 13.5%. 2017 წლის პირველ კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 11.8 პროცენტია.



საკრედიტო რეიტინგები

საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard & Poor’s“, „Fitch“ და „Moody’s“. ჩვენი ქვეყანა ინარჩუნებს სტაბილურ რეიტინგს, ამჟამად საქართველოს Standard & Poor’s“-თან, „Fitch“-თან “BB- ” და Moody’s“-თან “Ba3” სტაბილური რეიტინგი აქვს. რეგიონის ქვეყნებში კი შეინიშნება საკრედიტო რეიტინგის გაუარესება.

Fitch-მა დაადასტურა აზერბაიჯანის საკრედიტო რეიტინგი “BB+” ნეგატიურ დონეზე, რომელიც “BBB-“-დან შეამცირა 2016 წელს. გასულ წელს აზერბაიჯანის საკრედიტო რეიტინგი გააუარესა აგრეთვე S&P და Moody’s-მაც. სარეიტინგო კომპანია Moody’s-მ ასევე გააუარესა სომხეთის საკრედიტო რეიტინგიც Ba3 დან B1 მდე.

S&P-ის და Moody’s-ის შეფასებით გაუარესდა რუსეთის საკრედიტო რეიტინგიც. 2014 წლის დეკემბერთან შედარებით რუსეთის საკრედიტო რეიტინგი Moody’s-ის შეფასებით გაუარესდა Baa3 დან Ba1მდე, ხოლო S&P-ის შეფასებით BBB- დან BB+ მდე.

Moody’s-მა 2017 წლის მარტში თურქეთის საკრედიტო რეიტინგი სტაბილურიდან ნეგატიურით შეცვალა, ხოლო Fitch-მა “BBB-“-დან “BB+“-მდე შეამცირა.

Fitch-მა გამოაქვეყნა საქართველოს რეიტინგის შეფასება, რომლის თანახმადაც საქართველოს სუსტ მხარეებად მიჩნეულია: მიმდინარე ანგარიშის დეფიციტისა და ქვეყნის საგარეო ვალის მაღალი მაჩვენებელი.

ძლიერ მხარეებს მიეკუთვნება მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, მაღალი ზრდა ტურიზმის სექტორში და ასევე გაჯანსაღება ფულადი გზავნილების თვალსაზრისით. ანგარიშის თანახმად, წამოწყებული მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმა წახალისებს ეკონომიკურ ზრდას საშუალოვადიან პერიოდში.

მიმდინარე წლის 28 მარტს სარეიტინგო კომპანია Moody's-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი უცვლელ, Baa3 სტაბილურ დონეზე დატოვა.

სარეიტინგო კომპანიის განცხადებით რეიტინგზე დადებითად იმოქმედა ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა საშუალოდ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი, ძლიერი და განვითარებადი ინსტიტუტები და სახელმწიფო ვალის მისაღები დონე. სუსტ მხარეებად კი მიჩნეულია ერთ სულ მოასხლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის შედარებით დაბალი დონე, სახელმწიფო და კერძო ვალის მაღალი დოლარიზაცია და გეოპოლიტიკური რისკები.


სტაბილური რეიტინგის შენარჩუნებაზე მრავალმა ფაქტორმა სხვადასხვა მიმართულებით იმოქმედა. უარყოფითი ფაქტორებია რეგიონული კრიზისის ფონზე ბოლო პერიოდში შენელებული ეკონომიკური ზრდა, მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი, და ვალუტის გაუფასურებით გაზრდილი საგარეო ვალი. დადებით ფაქტორებად Moody's გამოყოფს შემდეგ გარემოებებს: ძლიერი ინსტიტუტები, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, დივერსიფიცირებული საექსპორტო ბაზრები, სავაჭრო შეთანხმებები, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალოდ მშპ-ს 10%-ზე შენარჩუნებას უწყობს ხელს და საშუალოვადიან პერიოდში გაზრდის ექსპორტს და დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას.

საერთო ჯამში, საქართველო სუვერენული საკრედიტო რეიტინგი, რეგიონში გაუარესებული ეკონომიკური გარემოს მიუხედავად სტაბილურ დონეზე დარჩა, რაც სწორი პოლიტიკის გატარებით (მცურავი სავალუტო კურსი, ინფლაციის თარგეთირება, კონტრ-ციკლური ფისკალური პოლიტიკა, საგარეო სავაჭრო ბარიერების მოხსნა და ექსპორტის დივერსიფიცირება, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება) შემცირებული რისკებისა და საშუალოვადიანი პერსპექტივების დამსახურებაა.

გაცვლითი კურსი

თებერვლის თვეში ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურების ტენდენცია შეიცვალა. შედეგად, წლიური გაუფასურება შენედა. 6 სექტემბრის მდგომარეობით, 2017 წლის 1 იანვართან შედარებით, ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 0.2 პროცენტით არის გაუფასურებული. გასული წლის 1 იანვართან შედარებით კი - 3.9 პროცენტით. რაც შეეხება რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსს,

2017 წლის ივლისის მდგომარეობით მისი წლიური გამყარების ტემპი 7.0 პროცენტს შეადგენს და 3.2%-ით გამყარებულია 2016 წლის იანვართან შედარებით.



	6 Sep 2017 - 1 Jan 2017	6 Sep 2017 - 1 Jan 2016
Euro	▼ -5.8%	▼ -11.9%
US Dollar	▲ 6.2%	▼ -3.9%
Turkish Lira	▲ 3.7%	▲ 13.2%
Russian Ruble	▼ -0.1%	▼ -24.5%
NEER	▼ -0.2%	▼ -3.9%
REER (July 2017)	▲ 7.0%	▲ 3.2%

უმუშევრობის დონე

2016 წელს უმუშევრობის დონე 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.8 პროცენტი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

დასაქმების ზრდა ძირითადად სამუშაო ძალის შემცირების შედეგია. დასაქმებულთა რაოდენობა 16 ათასი დასაქმებულით შემცირდა. თვითდასაქმებაც შემცირებულია, თუმცა კლება 7.2 ათას თვითდასაქმებულს შეადგენს.

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

2016 წელს ფაქტიური საგადასახადო შემოსავლების მოზილიზება 775.2 მლნ ლარით აღემატება 2015 წლის შესაბამის პერიოდს, რაც 9.7 პროცენტს შეადგენს, ხოლო წლის გეგმიური მაჩვენებელი შესრულდა 100.5 პროცენტით და გადაჭარბებამ 46.1 მლნ ლარი შეადგინა.

2017 წლის იანვარ-აგვისტოში ბიუჯეტში გადასახადების სახით მოზილიზებულია 6 373.1 მლნ ლარი, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.7 პროცენტით (717.9 მლნ ლარი) მეტია. გადაჭარბებით შესრულდა 2017 წლის გადასახადების პირველი ნახევრის საპროგნოზო მაჩვენებელიც.

გადასახადების იანვარ-აგვისტოს საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 130.0 მლნ ლარით, მოზილიზებულ იქნა 6 373.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104.0%, გადაჭარბება 243.1 მლნ ლარს შეადგენს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მოზილიზებულია 1 951.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 947.0 მლნ ლარი) 100.2%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მოზილიზებულია 564.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (486.0 მლნ ლარი) 116.2%-ია. მათ, შორის BP თანხა შეადგენს - 133.0 მლნ ლარს.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მოზილიზებულია 2 643.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 378.0 მლნ ლარი) 111.1%-ია.
- აქციზის სახით მოზილიზებულია 922.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 058.0 მლნ ლარი) 87.2%-ია. 2017 წლიდან მოხდა ზოგიერთ აქციზური პროდუქციაზე აქციზის განაკვეთების ზრდა (ნავთობპროდუქტებზე, სიგარეტზე, მსუბუქ ავტომობილებზე). შედეგად, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოზილიზებულია 220.5 მლნ ლარით მეტი.
- იმპორტის გადასახადის სახით მოზილიზებულია 46.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (49.0 მლნ ლარი) 94.1%-ია.
- ქონების გადასახადის სახით მოზილიზებულია 294.0 მლნ ლარი.

სხვა გადასახადი შეადგენს -49.1 მლნ ლარს.

სახელმწიფო ვალი

- სახელმწიფო ვალმა 2016 წლის ბოლოსთვის შეადგინა მშპ-ს 44.6% (აქედან საგარეო ვალი იყო 35.6%), როდესაც 2015 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი იყო 41.4% (საგარეო ვალი - 32.5%).
- ვალის ზრდა 2015 და 2016 წლებში ძირითადად გამოწვეული იყო გაცვლითი კურსის ცვლილებით.
- საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფო ვალი მშპ-სთან მიმართებაში 45 პროცენტის ქვემოთ მოექცევა.
- სახელმწიფო ვალის საბაზრო ღირებულება 2016 წლის დეკემბრისთვის იყო 32% (მოიცავს ისტორიულ ვალს, 2016 წლის ბოლოსთვის მშპ-ს 1%), რადგან ჩვენი ვალის მნიშვნელოვანი ნაწილი აღებულია შეღავათიანი პირობებით.

ამასთანავე, კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან ერთად გაიზრდება სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რაც ხელს შეუწყობს საგარეო დაფინანსების საჭიროების შემცირებას და მთლიან ვალში საშინაო ვალის წილის ზრდას.

2017 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით სახელმწიფო ვალის მშპ-ს 41.6 პროცენტს შეადგენს (ბოლო ოთხი კვარტალის მშპ-ს მიხედვით), რაც 3.0 პროცენტული პუნქტით ნაკლებია გასული კვარტალის მაჩვენებელთან შედარებით.


სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი

2017 წლის აგვისტოში ჩატარდა 5 აუქციონი, ჯამური ემისიით 120 მლნ ლარი, რომლის საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.74% შეადგინა.


გამომშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებები, 2 და 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 105 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები.

	6M	1Y	2Y	5Y	10Y	სულ
ემისიის მოცულობა	20	40	20	20	20	120
საშუალო შეწონილი განაკვეთი	7.126	7.194	7.520	8.020	9.410	7.74
დაფარვა	20	85	0.0	0	0	105.0
სხვაობა	0	-45	-20.0	20	20	15.0

ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ უმნიშვნელო ცვლილება განიცადა.




დაიკლო პორტფელში შემავალი ყველა ვადიანობის სახაზინო ფასიანი ქაღალდების საშუალო შეწონილმა პროცენტმა. პორტფელის შემოსავლიანობის ცვლილებაზე ძირითადი გავლენა მოახდინა განთავსებული ემისიების საპროცენტო განაკვეთებმა.



პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების საშუალო შეწონილი ვადიანობა (ATM) არ შეცვლილა.


ფასიანი ქაღალდების დაფარვამდე დარჩენილი დრო (წელი)			
	30.06.2017	31.07.2017	31.08.2017
6 თვე	0.24	0.24	0.24
12 თვე	0.50	0.56	0.58
2 წელი	1.07	1.17	1.11
5 წელი	2.64	2.88	2.72
10 წელი	6.62	6.81	6.75
სულ	1.88	2.01	2.01

2017 წლის 31 ივლისისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის მეოთხედზე ნაკლები (22.8%) ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება უახლოეს 6 თვის განმავლობაში. პორტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების გადანაწილება დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით შემდეგია:



თვის განმავლობაში აუქციონებზე დაფიქსირებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები²:

² თუ მოცემულ თვეში არ განხორციელებულა კონკრეტული ვადის ემისია, გრაფიკზე გამოსახული იქნება წინა პერიოდის შედეგები.



აგვისტოში ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა და შეადგინა 2.66 (ივლისი 2.36). აუქციონებზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებმა მთლიანობაში მცირედ დაიკლო, თუმცა პორტფელის მომსახურების საპროცენტო განაკვეთი თითქმის არ შეცვლილა. გაიზარდა პორტფელის ვადიანობა.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

იმისთვის, რომ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან მოხდეს თანდათანობით გამოსვლა, ეროვნულმა ბანკმა მიზნობრივზე დაბალი ინფლაციის პარალელურად 2016 წლის განმავლობაში 1.5 პროცენტით შეამცირა პოლიტიკის განაკვეთი.


2017 წლის 25 იანვარს, სამომხმარებლო ფასებზე აქციზის ზრდისა და გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენის შედეგად გაზრდილი ინფლაციური მოლოდინების მოსათოკად, ეროვნულმა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის გაზრდის შესახებ, რის შედეგადაც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 6.75 პროცენტით განისაზღვრა. ამავე დროს, გამოცხადებულ იქნა, რომ მომდევნო ორი კვარტალის განმავლობაში განაკვეთის 7 პროცენტამდე ზრდაა მოსალოდნელი.

ერთჯერადი ეფექტების ამოწურვის შედეგად ინფლაცია შემცირდება და საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში მოექცევა. სხვა თანაბარ პირობებში, ინფლაციაზე მოქმედი ფაქტორების ამოწურვასთან ერთად, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი საშუალოვადიან პერიოდში ეტაპობრივად მის ნეიტრალურ დონეს დაუბრუნდება.

2017 წლის 2 მაისს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა პოლიტიკის განაკვეთი გაზარდა 25 საბაზისო პუნქტით 7 პროცენტამდე. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება ეყრდნობოდა მაკროეკონომიკურ პროგნოზს, რომლის მიხედვითაც, მიწოდების მხრიდან არსებული ფაქტორების გავლენით, 2017 წელს ინფლაცია მიზნობრივზე მაღალ დონეზეა მოსალოდნელი, თუმცა საშუალოვადიან პერიოდში ეტაპობრივად შემცირდება ნეიტრალურ დონემდე.

14 ივნისისა და 26 ივლისის კომიტეტის სხდომაზე მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად დატოვა 7 პროცენტზე. კომიტეტის განცხადებით, დამატებითი შოკების არარსებობის შემთხვევაში, ინფლაციაზე მოქმედი ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვასთან ერთად, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ნეიტრალურ დონემდე შემცირება.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და ინფლაცია



2016 წლის ბიუჯეტის შესრულება

2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა 9 675.5 მლნ ლარი შედგინა (მშპ-ს 29.1 პროცენტი). საგადასახადო შემოსავლების შესრულება 8 786.1 მლნ ლარი იყო (მშპ-ს 26.4 პროცენტი), რაც 46 მლნ ლარით აღემატება პროგნოზირებულ მაჩვენებელს და 775 მლნ ლარით მეტია 2015 წლის შესრულებაზე.

მიმდინარე ხარჯები 8849.5 მლნ ლარს გაუტოლდა (მშპ-ს 26.6 პროცენტი), საიდანაც სოციალური ხარჯები 3 393.7 მლნ ლარია (მშპ-ს 10.2 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ


მთავრობამ ადმინისტრაციული ხარჯების შეკვეცა 2016 წლის ბოლოს დაიწყო და შორმის ანაზღაურებისა და საქონლისა და მომსახურების შეძენის ფაქტიური მაჩვენებელი პროგნოზირებულს 30 მლნ ლატით ჩამორჩებოდა. ეს არის ხარჯების შეკვეცის ღონისძიების ნაწილი, რომელიც მობილიზებულ იქნა საშუალოვადიან პერიოდში ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

2.3 მლრდ ლარი (კაპიტალური ხარჯები და სესხება – მშპ-ს 6.9 პროცენტი) მიმართულ იქნა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

2016 წელს ბიუჯეტის დეფიციტმა (GFSM 1986) მშპ-ს 4.2 შეადგინა.


2017 წლის ბიუჯეტის აღწერა

2017 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 4 პროცენტთან რეალურ ეკონომიკურ ზრდაზე და 4 პროცენტთან ინფლაციის მაჩვენებელზე. აღნიშნულ გათვლებზე დაყრდნობით მომავალ წელს ბიუჯეტის დეფიციტი (GFS 1986) კლასიფიკაციით 4.1 პროცენტის დონეზეა. მომდევნო წლებში მოსალოდნელია ბიუჯეტის დეფიციტის თანდათან შემცირება.



ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლები მომავალ წლებში სრულად არის განპირობებული საინვესტიციო, კერძოდ ინფრასტრუქტურული პროექტების დაჩქარებით. დაჩქარება ნომინალურ გამოსახულებაში 2017-2021 წლებში დაახლოებით 5 მლრდ ლარს შეადგენს. 2017 წელს საინვესტიციო ხარჯების დაჩქარება 445 მლნ ლარის ოდენობით არის დაგეგმილი. ინფრასტრუქტურული ხარჯების გარეშე ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 2.9%-ზეა და საშუალო ვადიან პერიოდში სრულად აღმოიფხვრება.

ბიუჯეტის დეფიციტი დაჩქარების ეფექტის გარეშე



მიმდინარე ხარჯები 2017 წლისათვის 289 მლნ ლარით, ანუ 3.3 პროცენტით იზრდება, რაც უმთავრესად ჯანდაცვის სფეროს დაფინანსების ზრდითაა გამოწვეული. სახელფასო ხარჯები ბიუჯეტის კანონის მიხედვით დაახლოებით 4 პროცენტით არის შემცირებული. მნიშვნელოვანია საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებული მიმდინარე ხარჯების წილი, რომელიც 178 მლნ ლარს შეადგენს. მათ შორის გზების მოვლა-შენახვა 70.0 მლნ ლარი, საკონსულტაციო და სხვა 88.0 მლნ ლარი და სხვა ხარჯები 20.0 მლნ ლარი. 2016 წელს მოსალოდნელი მშპ-ს 26.5 პროცენტიდან მიმდინარე ხარჯები 2020 წლისათვის მშპ-ს 21.7 პროცენტამდე მცირდება.

მიმდინარე ხარჯები

